ბრძანება

N 01–09/34 06 აპრილი 2026 ქ.ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს პროგრამის „ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 08 04) ღონისძიების „აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა“ ფარგლებში კონკურსის გამოცხადებისა და რიგი პირობების განსაზღვრის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად გათვალისწინებული პროგრამის „ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 08 04) ღონისძიების „აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა“ ორგანიზების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 28 თებერვლის №1 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დეპარტამენტის ფოლკლორის ხელშეწყობის განყოფილების უფროსის 2026 წლის 03 აპრილის №01-33/296 მოხსენებითი ბარათის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს პროგრამის „ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 08 04) ღონისძიების „აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა“ ფარგლებში გამოცხადდეს კონკურსი.

2. დამტკიცდეს „აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის“ საკონკურსო პირობები, განაცხადის ფორმები და შეფასების კრიტერიუმები თანახმად დანართებისა.

3. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის: ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №9), კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

ელისო ბოლქვაძე

მინისტრი

https://edocument.ge/AdjaraGov/public34-0-4-202604061300

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE